



# კანონის და განკარგულებათა პრეზული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და კლემთა მთავრობისა.

1930 წლის ივნისის 1.	<b>№ 10</b>	ე/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვე- ლობის მიერ გამოცემული.
	განცილება პირები	

## III ა რ ს ი:

- მუხ. 114. ა/კსფსრ ტერიტორიაზე საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საჭის გამგებელი ადგილობრივი ორგანიზაციის მოწყობის შესახებ.
- „ 115. გზატელებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ორგანიზაციის მიერ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ურელისო გზატელების განსაზღვრულებელი კაპიტალური მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.
- „ 116. კალიასთან ბრძოლის საქმისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საგანვითო რწმუნებულის დანიშნის შესახებ.
- „ 117. 1930 წლს საბამბე კაპიანის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- „ 118. „ა/კსფსრ გაკრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტის დებულების“ გაუქმების შესახებ.

## დადგენილება № 246 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- 114.** ა/კსფსრ ტერიტორიაზე საგზაო მეურნეობისა და საავტომო-  
ბილო საქმის გამგებელი ადგილობრივი ორგანიზაციის მოწყო-  
ბის შესახებ.

„სსრკ-ის საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმის შესახებ“ გამო-  
ცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმისარულებელი კომიტეტისა და სახალხო კო-  
მისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილების საფუძველზე (სსრკ  
კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-ი, მუხ. 52) ა/კსფსრ ტერიტორიაზე გზატელებისა,

ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს შემდგომი რეორგანიზაციისათვის და ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულების „მე 4 მუხლის განვითარებისათვის (აქსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 70) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდენს:

1. წინადადება მიეწეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკუბის სახალხო კომისართა საბჭოებს—მთაწყონ, არა უგვიანეს 1930 წ. აპრილის 1-სა, ყველა სოლქო აღმასრულებელ კომიტეტთან, აეტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან და აეტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საგზაო მუშარქობისა და საავტომობილო საქმის გამგებელი აღგილობრივი ორგანოები და გადასცენ მათ, სათანადო ტერიტორიის ფარგლებში, საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების უშუალო გამგებლობა; თანაც დაკისრონ მათვე ყველა იმ, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე აღგილობრივი მნიშვნელობის გზის უშუალო შენახვისა, რემონტისა და მშენებლობის ფუნქციები, რაც გადის სათანადო აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთფულის ფარგლებში; აგრეთვე დააკისრონ—საავტომობილო ტრანსპორტის უშუალო მოწესრიგების ფუნქციები.

2. აღნიშვნული საგზაო ორგანოები მოწყობილ უნდა იქნენ:

ა) აეტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების სახელწოდებით, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და თავიანთი მოქმედებით ანხორციელებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების დირექტორებსა, დავალებებსა და განკარგულებებს;

ბ) აეტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებთან—საგზაო განყოფილებების სახელწოდებით, რისთვისაც განსაზღვრულ უნდა იქნეს ამ განყოფილებების ქვემდებარების ფარგლებმ ხელისულების საოლქო ორგანოებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებისადმი და აგრეთვე მათივე უოთიერობა ამ ორგანოებთან—აღგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების ყველა ფუნქციონალური სხვა განყოფილებისათვის დადგენილ საფუძვლებში.

3. იმ აღგილებში, სადაც სავსებით განხორციელებული არ არის ახალი აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური დარაობება და ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის ოლქები,—დროობით დატოვებულ იქნეს მოქმედ წესი საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების გამგებლობისა და საავტომობილო საქმის მოწესრიგებისა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების ხაზთა პარატის მეშვეობის; ამასთანავე, მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებსა და ზემოაღნიშნულ რესპუბლიკანურ სამმართველოებს უფლება, ურთიერთთან შეთანხმებით, აღგილობრივი მნიშ-

ვნელობის გზების გამგებლობა და აკისრონ ხოლმე გზატკეცილებისა და ყამირ-გზების სამართველოების ხაზთა ორგანოებს, მათთვის ადგილობრივი ბიუჯეტებიდან და საგზაო ფონდებიდან გაღადებული სატანაოს სახსარის გადაცემით.

4. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ორი კეირის განმავლობაში, ა/ქსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და სავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამართველოსთან შეთანხმებით, სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია—ადგილობრივი საგზაო ორგანოების მიერ იმ სახსართა ხარჯების წესის შესახებ, რაც გადაიდება საგზაო მშენებლობისათვის საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური სახელმწიფო ბიუჯეტებით, ამ სახსართა ანგარიშების წესის შესახებ და აგრძელებული ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესანახი ხარჯის იმ ნაწილის დაფარვის წესის შესახებ, რაც საჭირო იქნება ამ საგზაო ორგანოების ფუნქციებისათვის საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების გამგებლობის სფეროში.

5. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანოს ამ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი და დამატებანი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ა. ბანოვიჩი.

1930 წ. მარტის 23.

ტფილისი-სასახლე.

## დადგენილება № 247 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**115.** გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამართველოს ორგანოების<sup>7</sup> მიერ რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ურელსო გზებზე განსახორციელებელი კაპიტალური მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დ ა გ ვ გ ვ ა.

1. კაპიტალურ მშენებლობად იგულისხმება: ის ახალი მშენებლობა, სააღმდეგენო სამუშაოები და კაპიტალური რემონტი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა, რაც, მე-2 მუხლის თანახმად, გამოიყოფა საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვებიდან.

**შენიშვნა.** კაპიტალურ მშენებლობაზი გაწყობილობა შეიტანება ისეთ შემთხვევაში, რაც განსაზღვრული იქნება გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მიერ,—სათანადო რესპუბლიკის მუშაოთა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—გამოცემულ ინსტრუქციაში.

2. საგზაო ორგანოებს დაევალებათ გამოიჰკონ ხოლმე საექსპლოტაციო გეგმებიდან და ხარჯთაღრიცხვებიდან სპეციალური კარი კაპიტალური მშენებლობისათვის—სააღმდეგო სამუშაოები და კაპიტალური რემონტი. ამ გამოყოფის წესი და პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს ა/ქსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო—ა/ქსფსრ მუშაოთა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

**შენიშვნა.** „საგზაო ორგანოებად“ მე-2 მუხლში და შემდგომ მუხლები იგულისხმებიან ა/ქსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო, ა/ქსფსრ შედგენილობაში შემაგალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები, აღმასრულებელი კომიტეტის საგზაო განყოფილებებში და ავტონომიური რესპუბლიკების საგზაო სამმართველოები.

3. კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვა შეიცავს: \*

- საპერსპექტივო გეგმებს;
- მინიმალურ წლიურ გეგმებს;
- საბოლოო წლიურ გეგმებს.

4. კაპიტალური მშენებლობა იყოფა ზელიმიტურ და ქველიმიტურ მშენებლობად. ზელიმიტური მშენებლობა შეიტანება კაპიტალური მშენებლობის წლიურ გეგმებში ტიტულობით (სახელმისამართი), ხოლო ქველიმიტური—საერთო თანხმებით ცალკეული სახის მშენებლობის მიხედვით. ცალკეული ტიტულებისათვის (კაპიტალური რემონტის გამოკლებით) ლიმიტები დაწესდება 500.000 მან. რაოდენობით.

**შენიშვნა 1.** მშენებლობის ზელიმიტური და ქველიმიტური ობიექტების შეფასების დროს მიიღება ობიექტების სრული სამშენებლო ღირებულება, დამხმარე ნაგებობათა და მომსახურე გამართულებათა ჩათვლით.

**შენიშვნა 2.** კაპიტალური რემონტის დაგეგმვა, პროექტირება, დაფინანსება და განხორციელება სწარმოებს იმ წესების მიხედვით, რასაც დამტკიცებს ა/ქსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო.

5. საგზაო ორგანოებს დაევალებათ:

- საპერსპექტივო და წლიური გეგმების შედგენის დროს კაპიტალური მშენებლობის საკითხები (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია, აღდევნა და კაპიტალური მშენებლობა) გამოიჰკონ ხოლმე, ძირითადი პრობლემის სახით, გეგმის დამოუკიდებელ კარად;

8) յաპուրալուրո մշենցեծլոնքութեան ցըցմեծեան երთագ Շեմիշառն եռլմբ յյո-  
նոմուրու დա Ծընենյուրո ցամրկալուցուս დա Յրոյշերուրունքու սապերսկյերուր დա  
Ծլուրու ցըցմեծեց, մի սամիշառտա հոգոնքուս դա լորեծուրունքու առնօշնօնտ;

9) սաხելմիլցանցլուր օյնոնոնք, հռմ սափորու սախսահտա մայնոմալուրո յոն-  
պանքուրացու մշենցեծլոնքու օնօյշերունքու ուշտ հառուրնոնքանք, հապ Շեսամլեցել  
չպուտ ուրակալուր օնօյշերունքու մշենցեծլոնքու ցանեռուրուրունքա մոնոմալուր, եռ-  
լուր Երենյուրաց Շեսամլեցել ցագեծնեց;

10) մուշպանք ցնաէլյուրունքուս դա յամորցնեցեցու մշենցեծլոնքու ցըցմեծեց դար-  
տու սախոցալոյեցրուց եսօնուու ցանեռունքա.

11. սապերսկյեշուրու ցըցմեծնեց, յապուրալուր ხարջու սայրտու տանենցեան յր-  
տագ, Շեուրանեցա Ներոնուրուրու մշենցեծլոնքու սարուրուր սուցու, մի մշենցեծլոն-  
քու Երենյուր-յյոնոմուրու լասածուրունքու.

12. Ծլուր ցըցմեծնեց Շեսարու Ներոնուրու յապուրալուրու մշենցեծլոնքու սարուրուր սուցու սբուն լայրուրունքու:

13) ցանենասելուր մշենցեծլոնքու օնօյշերունքու լասածուրունքու (ցնեցու ցանցուր-  
նոնքան դա Երուրուրունքու մատու մորուու դա Ծընենյուրու տացուսեցուրունքա  
դա սեց.);

14) Կրոնքեցու Յրոյշերունքու սախարջուալրունքու լորեծուրունքու դա լամտաց-  
րունքուրունքու Շեսաեց;

15) Ծընենյուր-յյոնոմուրու լասածուրունքու դա Կյորմուր—մշենցեծլոնքու յազոյ-  
ւուունքու ցամունցարունցեան.

16. յապուրալուրու մշենցեծլոնքու սայրտու մուրուր հռմ ցատցալուսինյե-  
նուրու լամրէյուրունքու սածոլուռ Ծլուրու ցըցմու, մոնոմալուր մուրուր մուրուր մուրուր  
ուուլունքու Շեմուր Ծլուր մշենցեծլոնքուսատուու.

17. Ծլուրուրու մոնոմալուրու ցըցմունքու Ծահուցուրնեց սայոնտիրուռ Կոյրեցու սա-  
շեցցնուսա դա մասլուրունքու տածանչու ցապրմուր լորեյշերունքու Շեցալուրունքու  
ցալեցնեց.

18. յապուրալուրու մշենցեծլոնքու սածոլուռ Ծլուր ցըցմունքու Շեալցունքու  
ա/կլուսր ցնարուրունքուսա, յամորցնեցնուսա դա սապուրունքու լուր Ծրանըսկուրունքու մտա-  
ցարու սամահուցուրու, արա ցցցուր ուցնուու 1-սա, մի սապերսկյերուր ցըցմունքուսա  
դա լորեյշերունքու սածուրունքու, հասապ մուսպրես ա/կլուսր սախելմիշուր սացուրունքու  
յումուսու.

19. յապուրալուրու մշենցեծլոնքու սածոլուռ Ծլուր ցըցմունքու լամրէյուրունքու  
ա/կլուսր սախալեռ յումուսահտու սածու սախալեռ մերունքունքու դա ծույշուրու սա-  
կոնքուրու Կոյրեցու լորեյշերունքու լալցունքու ցալեցնեց.

20. սածոլուռ ցըցմունքու ցանեռունքու լուրու մոնոմալուրու ցըցմա ար Շեուրունքու  
արամեց ցանեռունքու լուրու յապուրալուրու սամուր սամահուրունքու ցըցմա.

21. Յուրացու մոնոմալուրու ցըցմա մուրուր լուրու լամարտեցնուուրու Շեալցունքու սա-  
ծոլուռ Ծլուր ցըցմա.

22. յապուրալուրու մշենցեծլոնքու մոնոմալուր Ծլուր ցըցմունքու Շեուրանեցա  
Յուրացու հուրուրու ցըցմա:

ა) საპერსპექტივო გეგმით გაფალისწინებულ დაწყებულ უკვე ახალ მშენებლობათა განვითარება;

ბ) იმ დამტკიცებული პროექტების მქონე სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელთა ეფუძებობაც დასაბუთებულია;

გ) გინათმშენებლობისა, და კაპიტალური რემონტისათვის საჭირო სამუშაოები.

**შენიშვნა.** კაპიტალურ სამუშაოთა გეგმაში იმ გზების მშენებლობის შეტანა, რომელთა საჭიროებაც გამოწვეულია ახლად ასაგებ სამრეწველო საწარმოთა ექსპლოატაციის, შეთანხმებულ უნდა იქნეს ამ საწარმოთა მშენებლობის გეგმასთან და მშენებლობასთან.

13. კაპიტალური მშენებლობის ობიექტები, იმის ზედმეტად, რაც ჩამოთვლილია ამა დადგენილების მე-12 მუხლში, შეიტანება წლიურ გეგმებში ხელთქონებული რესურსების მიხედვით, ამასთანავე, ახალი მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სფეროში გეგმებში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ზემომიტური მშენებლობის ობიექტები, რომელთაც აქვთ სათანადო წესით დამტკიცებული საბოლოო პროექტები და აგრეთვე საწარმოო და საფინანსო გეგმები.

**შენიშვნა.** 1930/31 წელს, რესპუბლიკუნი სახალხო კომისართა საბჭოებთან შეთანხმებით, შეიძლება ის სასწარაფო, გადაუდებელი სამუშაოები, რომლებსაც აქვს მხოლოდ საესკაზო პროექტები საორიენტირო სარჯათალრიცხვებითურთ, შეტანილ იქნეს გეგმაში. ასეთ შემთხვევაში საბოლოო პროექტები და აგრეთვე საწარმოო და საფინანსო გეგმები დამტკიცებულ უნდა იქნეს არა უგიენეს სამშენებლო სეზონის დასაწყისისა.

14. უკეთუ აუცილებელია კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობის შეტკირება მშენებლობის წლიური გეგმით დასახულ (კაპიტალურ) მშენებლობასთან შედარებით, ეს შემცირება მოხდება მშენებლობის ცალკეული ობიექტების სრულად ამოშლით.

## II. დაცინასება და აგრარიზმიზა.

15. კაპიტალური მშენებლობის საპერსპექტივო და წლიური გეგმების შედგენასთან ერთად საგზაო ორგანოები იმავდროულად შეადგენს მშენებლობის დაფინანსების საერთო გეგმებს. დაფინანსების გეგმები დამტკიცებულ უნდა იქნეს იმავე დროს, როდესაც დამტკიცდება კაპიტალური მშენებლობის გეგმები.

16. დაევალოს ა/ქსტსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/ქსტსრ გზა-ტკეცილებისა ყამირგზებისა და სავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამართველოს, კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინონ, კაპიტალური მშენებლობის დამტკიცებითი დაფინანსების მიზნით, გაუნაწილებელი რეზერვი ა/ქსტსრ ბიუჯეტით გადადებულ სახსართო ხარჯზე.

რეზერვის რაოდენობა, მისი გამოყენების წლებისა და ვადების მიხედვით, განისაზღვრება კაპიტალური მშენებლობის საბოლოო გეგმის დამტკიცების დროს.

17. საგზაო ორგანოებს დაევალებათ:

ა) შეიტანონ წლიურ ხარჯთაღრიცხვაში და მთლად განასასიგნონ ხოლმე კურეიტები კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების დამტკიცებული გეგმის თანახმად, იმ პირობით, რომ კურედიტების შემცირება ხდებოდეს თვითეულ ცალქვე შემთხვევაში მარტოოდენ რესპუბლიკანური სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით—ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით—რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის;

ბ) კაპიტალური მშენებლობისათვის გადადებული სახსარი ხარჯონ მარტო-დენ პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

18. კაპიტალური მშენებლობის ზელიმიტებისათვის, პროექტებთან და ხარჯთაღრიცხვებთან ერთად, იმავდროულად შედგენილ უნდა იქნეს:

ა) კაპიტალურ სამუშაოთა წარმოების საკალენდრო გეგმები, რამაც უნდა მოიცავს მშენებლობის მთელი პერიოდი (მშენებლობის საერთო საწარმოო გეგმა);

ბ) დაფინანსების საკალენდრო გეგმები, რამაც უნდა მოიცავს მშენებლობის მთელი პერიოდი (მშენებლობის საერთო საფინანსო გეგმა).

**შენიშვნა.** ამა მუხლით გათვალისწინებული საერთო საწარმოო და საფინანსო გეგმები შედგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ცალკეული ობიექტებისათვის და დაფუძნებული სამუშაოთა სრულ ლირებულებაზე; თანაც ამ ლირებულებაში შეტანილ უნდა იქნეს ყველა პირდაპირი და ზედნადები ხარჯები და აგრძოვე იმ დამტმარე ნავებობათათვის საჭირო ხარჯები, რანიც მომსახურეობას უწევენ გამართულებათ და სხვ.

19. მე-18 მუხლში აღნიშნულ საერთო გეგმებთან ერთად, ყველა იმ ზელი-მიტური მშენებლობისათვის, რომლის აგებაც ნავრაუდევია ერთ წელზე მეტი ვალით, ყოველ წელს შედგენილ უნდა იქნეს წლიური საწარმოო და საფინანსო გეგმა ცალკეული მშენებლობისა.

წლიური გეგმების შედგენის დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს როგორც უწყებული მშენებლობისათვის, ისე სხვა ანალოგიური მშენებლობისათვის უკვე წარმოებულ სამუშაოთა შედეგი და გამოცდილება, აგრძოვე ბაზრის პირობები და სხვ.

წლიური გეგმების შესაბამისად ყოველ წელს სათანადო მშენებლობის საერთო საწარმოო და საფინანსო გეგმებში შეიტანება შესწორებანი და ცვლილებანი.

20. საგზაო ორგანოებს დაევალებათ, მშენებლობის საკალენდრო საწარმოო და საფინანსო გეგმების შედგენის დროს, ისე გაანწილონ ცალკეული სამუშაოები და ამ სამუშაოებისათვის მთელი სამშენებლო სეზონის განმავლობაზი საჭირო სახსარი, რომ მიღწეულ იქნეს სეზონის თანაბარი დატვირთვა და ზამთრის პერიოდი გამოიყენებოდეს მასალის დამზადებისათვის.

21. ადგილობრივმა საგზაო ორგანოებმა უნდა წარუდგინონ ხოლმე რესპუბლიკანურ გზატეცილებისა, ყამირგზებისა და საკურომობილო ტრანსპორტის სამართველოებს, —განსახილველად და ა/ქსფსრ გზატეცილებისა, ყამირგზებისა და საკურომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოსათვის ჯუმლობითი

ანგარიშების წარსადგენად, — წლიური ანგარიშები ტრანსპორტის კაპიტალური მშენებლობისა და წინასწარი ცნობები საოპერაციო წლის განმალობაში კაპიტალური მშენებლობის მიმღინარეობის შესახებ.

**შენიშვნა.** მიენდოს გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს, ორი თვეს ვადაშე, განსაზღვროს, ა/ქსფსრ მუშაა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატითან შეოთხმებით, ანგარიშებისა და წინასწარი საანგარიშო ცნობების ხასიათი და მინიმალური მოცულობა და აგრეთვე ამ ანგარიშებისა და ცნობების შედეგნის და წარდგენის წესი და ვადები.

### III. საორგანიზაციო საკითხები.

22. ჯუმლობითი გეგმების შეფენა დაეყისრება ა/ქსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს. კაპიტალური მშენებლობის ჯუმლობითი გეგმები შედგენილ უნდა იქნეს სათანადო რესტური ლიკინური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების მიერ შემუშავებული მშენებლობის გეგმების საფუძველზე.

23. ზელიმიტური მშენებლობის სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ამ სამუშაოებს მიიღოდეს სპეციალური კომისია. მიმღები კომისიების შედგენილობა და მიღების წესი განისაზღვრება ა/ქსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქციით.

24. გზების კვლევისა, ხელოვნურ ნაგებობათა პროექტირებისა და ხარჯების შემცირების საქმის რაციონალურად დაყენებისათვის — ა/ქსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსთან მოეწყობა საპროექტო-საკულტურულ განყოფილება, რომელიც შესდგება ორი ნაწილისაგან: კვლევისა და პროექტორებისა.

განყოფილება ოპერატორული ორგანო, რომელიც მუშაობს ურელსო გზებისათვის ამირატურების მასშტაბით; იგი ასრულებს საგეგმო ფუნქციებს საკელევო სამუშაოთა, ამ სამუშაოთა წარმოებისა, გზებისა და ხელოვნურ ნაგებობათა პროექტების შედგენის სფეროში.

### IV. პროექტირება და მშენებლივი მუშაობა.

25. ახალი გზებისა, დიდროოვანი ხიდებისა და სხვა დიდროოვან სამუშაოთა ტეხნიკური კვლევანი განიყოფებიან სარეკოგნოსცირებო, საწინასწარო და საბოლოო კვლევად.

26. პროექტირების საქმის მოსაწესრიგებლად:

ა) საბოლოო ტექნიკური კვლევა უნდა სწარმოებდეს გზებისა და სხვა ნაგებობის შენების დაშვებამდე;

ბ) დავალების მიცემის დროს, აგრეთვე პროექტირებისა, პროექტების განხილვისა და დამტკიცების დროს განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა



იქნეს დამუშავებული საპროეტირებლო მშენებლობის ტეხნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საკითხები;

გ) განსაკუთრებით რთული ტექნიკური ნაგებობის პროექტისა, ხოლო საკირო შემთხვევაში აგრეთვე ტიპობითი სასკიზო პროექტის შედგენისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს კონკურსის სისტემა;

დ) აერძალოს პროექტის შედგენაში მონაწილე პირთ ამ პროექტის ექსპერტიზაში ან დამტკიცებაში მონაწილეობის მიღება;

ე) მიღებულ უნდა იქნეს გადამწყვეტი ლონისძიება, რათა ერთსადამავე დროს ერთიდაგივე პირი ან ასრულებდეს პასუხსავებ მოვალეობას იმ ორგანოებში, რომელიც ადგენენ, ექსპერტიზას უკონფიდენციალურ ერთსადამავე პროექტებს.

27. კაპიტალური მშენებლობის სასკიზო და საბოლოო პროექტებთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, აგრეთვე განმარტებით წერილების პროგრამა და ექსპერტიზის წარმოების წესი გრინსტლერება ა/კსუსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამშაროებრივის ინსტრუქციებით, რაც შემუშავებულ უნდა იქნეს გზათა სახალხო კომისარიატის მომქმედ დებულებათა საუფელესებები.

28. როგორც რესაბულებიყანური, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა-მშენებლობის პროექტები შედგენისა, მსვლელობისა და დამტკიცების მხრით განიყოფებიან სამს კატეგორიად:

პირველი კატეგორია:

ა) ისეთი გზების გაყანისა და გადაკეთების პროექტები, რომელთა საერთო სახარჯთაღრიცხვო ლირებულება - 500.000 მან. აღმატება;

ბ) ისეთ ცალკეულ ნაგებობათა (ხიდი, წყალზედ გადასასვლელი, გვარაბი, შენობა, საგზაო მრეწველობის ქარხანა და სხვ.) პროექტები, რომელთა საერთო სახარჯთაღრიცხვო ლირებულება 500.000 მან. აღმატება;

გ) ისეთი სახიდე ნაგებობის პროექტი, რომელსაც, თუნდაც იგი 500.000 მ. ნაკლებად ლირდეს, აქვს ცალკეულად გამოანგარიშებული მალი და 100 მ-ზე დიდ რკინისა, 50 მ-ზე დიდ რკინა-ბეტონისა და ხის და 40 მ-ზე დიდ ბეტონისა და ჭვისა;

დ) ისეთ ნაგებობათა პროექტები, მიუხედავად მათი ლირებულებისა, ხოლო სახიდე ნაგებობათაოვის—მიუხედავად მათი მაღლის სიღრიძისა, რომელიცისათვისაც შეფარდებულია განსაკუთრებით რთული კონსტრუქციები ან გამოყენებულია ჯერ კიდევ საქმაო ან გამოცდილი ახალი მასალა თუ კონსტრუქცია; ასეთ ნაგებობათა პროექტებს ეკუთვნის: მუდმივი ტიპის სალები ხილის პროექტი, ლითონისა თუ რკინა-ბეტონის პონტონზე მყარი ხილის პროექტი, რთული სარეგულიაციო ნაგებობის პროექტი და სხვ.

ე) ისეთი ტეხნიკური პირობები და წესები, რაც გზათამშენებლობის საერთო რეგულირებასა და ნორმირებას ეხება;

ვ) ცენტრის მიერ გამოცემული ნაგებობათა ნორმებისა, გაბარიტებისა, დატვირთვისა, ტეხნიკური პირობებისა და ტიპების ცვლილებათა პროექტები.

მეორე კატეგორია:

ა) ისეთი გზების გაყვანისა და გადაკეთების პროექტები, რომელთა საერთო სახარჯთაღრიცხვო ლირებულება 250.000 მანეთიდან 500.000 მანეთამდეა;

ბ) ისეთ ცალკეულ ნაგებობათა პროექტები, რომელთა საერთო სახარჯთაღრიცხვო ლირებულება 100.000 მანეთიდან 500.000 მანეთამდე;

გ) ისეთ სახიდე ნაგებობის პროექტი, რომელსაც, თუნდაც იგი 100.000 მან. ნაკლებად ლირდეს, აქვს ცალკეულად გამოანგარიშებული მალი 50-დან 100 მ-დე—რეინისა, 30-დან 50 მ-დე—რეინა-ბეტონისა და ხისა და 20-დან 40 მ-დე—ბეტონისა და ქვისა;

მესამე კატეგორია:

ა) ისეთი გზების გაყვანისა და გადაკეთების პროექტები, რომელთა საერთო სახარჯთაღრიცხვო ლირებულება 250.000 მანეთამდეა;

ბ) ისეთ ცალკეულ ნაგებობათა პროექტები, რომელთა საერთო სახარჯთაღრიცხვო ლირებულება 100.000 მანეთამდეა;

გ) ისეთ ცალკეულ ნაგებობათა პროექტები,—მათი ლირებულების მიზხედავად,—რაც წინა კატეგორიებში არ არის მოცემული და რაც საჭიროებს სპეციალურ გამოანგარიშებას (თაღი, ჩარჩო და სხვ.), ან რასაც აქვს განსაკუთრებული პირობები უქმისა და საძირკვლის გამართულობის მხრით.

29. გზათა და ნაგებობათა ყველა პროექტი, როგორც საერთო წესი, შედგენილ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) სქემა;

ბ) საესკიზო პროექტი;

გ) საბოლოო პროექტი;

დ) ოსტატულებითი პროექტი;

ცალკეულ—შემთხვევაში, სქემის ნაცვლად, შეიძლება შედგენილ იქნეს ერთბაშად საესკიზო ან დეტალური პროექტი.

30. პირველი კატეგორიის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს შეადგენს ა/ქსფს გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საეტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველონ და დაადასტურებს მთავარი სამმართველოს ტეხნიკური თათბირი რესპუბლიკანური სამმართველოს წარმომადგენლოთა მინაწილეობით; ტეხნიკური თათბირის დადგენილებას დაამტკიცებს მთავარი სამმართველოს უფროსი, რის შემდეგაც იგი გაიგზავნება გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და სავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოში. მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მიღებისა და, საჭიროებისადამიხდეთ, მთავარი სამმართველოს ცენტრის შემდეგ, ამ პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს საბოლოოდ დაამტკიცებს მთავარი სამმართველოს უფროსი.

31. მეორე კატეგორიის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს შეადგენს აგრეთვე მთავარი სამართველო და, ტეხნიკური თათბირის მიერ დადასტურების შემდეგ, დაამტკიცებს მთავარი სამმართველოს უფროსი.

**შენიშვნა.** ზოგიერთ შესთხვევაში, მთავარი და რესპუბლიკური სამმართველოების ურთიერთიან შეთანხმებით, მეორე კატეგორიის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს შეადგენს რესპუბლიკანური სამმართველო.

32. მესამე კატეგორიის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს შეადგენენ: რესპუბლიკანური სამართველოები, აგრძნომიური რესპუბლიკების საგზაო სამართველოები და აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო განყოფილებები—რესპუბლიკანური სამართველოების დავალებებით.

მესამე კატეგორიის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს დამტკიცებენ რესპუბლიკანური სამართველოების უფროსები, სამართველოების ტენიკური თაობირების მიერ დადასტურების შემდეგ.

33. სათანადო უმაღლეს ინსტანციებში პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების წარდგენის ვადა განისაზღვრება: პირველი გატეგორიის სასქემო და საესკიზო პროექტებისათვის—არა ნაკლებ, ვიდრე ათი თვით ადრე იმ საოპერაციო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, რომლის პროგრამაშიც შედის უწყებული ნაგებობის შენების დაწყება; სხვა კატეგორიების იმავე პროექტებისათვის—არა ნაკლებ, ვიდრე ცხრა თვით ადრე.

34. პირველი კატეგორიის საბოლოო პროექტებისათვის წარდგენის ვადა განისაზღვრება არა ნაკლებ, ვიდრე ოთხი თვით ადრე იმავე წლის დაწყებამდე, ხოლო სხვა კატეგორიების იმავე პროექტებისათვის—არა ნაკლებ, ვიდრე სამი თვით ადრე.

35. საესკიზო პროექტების დამტკიცების ვადა თვითეული ინსტანციისათვის განისაზღვრება არა უმეტეს ერთი თვისა, ხოლო საბოლოო პროექტებისათვის—არა უმეტეს ორი თვისა.

36. მეორე და მესამე კატეგორიის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენისა, მსელექლობისა და დამტკიცების ზემოაღნიშნული წესის შეცვლა შეუძლიან მთავარ სამართველოს, ხოლო ამ ცვლილების დამტკიცება—აკსესუა სახალხო კომისართა საბჭოს.

37. შეადგენის ღრას ყველა პროექტი, პროექტების მსელელობის წესის მიხედვით, შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო უწყებასთან, არსებული დებულებების თანახმად.

38. დაევალოს მთავარ სამართველოს, პროექტირების ღრას, უცილობლად განახორციელოს მშენებლობის ტიპჩიზაცია და სტანდარტიზაცია და კერძოდ—შენებლობის იმ დარგებში, სადაც შესაძლებელია მრავალი ერთნაირი ობიექტებისა, შენობებისა და ნაგებობის აგება (თუნდაც ქველმიტურისა):

ა) მოაწყოს რაც შეიძლება უფრო რაციონალური და იაფი კონსტრუქციის ტიპმითი პროექტების შემუშავება;

ბ) მიღოს ღრანისძიება, რათა ზემოაღნიშნულ პროექტებს ფართოდ გაეცნონ ტრანსპორტის მომუშავენი.

გ) უზრუნველჰყოს უცილობელი შეფარდება ტიპობითი პროექტებისა და სტანდარტებისა მშენებლობის პროექტირებისა და განხორციელების პრაქტიკაში.

**შენიშვნა.** საცხოვრებელი შენობების ნაწილების ტიპობითი პროექტებისა და სტანდარტების შემუშავება შეთანხმებულ უნდა იქნეს სხვა უწყებათა, ანალოგიურ მუშაობასთან.

39. სამუშაო ნახაზებს ადგენენ მპროექტებელი და მშენებელი ორგანიზაციები და ამ ნახაზების შემდგომი დამტკიცება საჭირო არ არის,

40. მასალის დამზადება, ხელშეკრულებების დადება სამშენებლო სამუშაოთა წარმოების თაობაზე, გაწყობილობის შეკვეთა და სადამზადებლო სამუშაოებისათვის ხარჯების გაწევა ნებადაროსულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთ უზებული ობიექტი სატიტულო ნუსხით (ზელიმიტური ობიექტი) ან საერთო თანხის ასიგნით (ქველიმიტური შენებლობა) შეტანილია კაპიტალური შენებლობის დამტკიცებულ წლიურ გეგმაში და უკეთ არსებობს დამტკიცებული საბოლოო პროექტი. წლიური გეგმისა და საბოლოო პროექტის დამტკიცებამდე შეიძლება მხოლოდ საკლევო და საპროექტირებო ხარჯებისა და აგრეთვე საორგანიზაციო ხასიათის წინასწარი ამჟრაციებისათვის საჭირო წერტალი ხარჯების გაწევა.

1930-31 წელს, მე-13 მუხლის შენიშვნის წესისამებრ გეგმაში შეტანილი ობიექტებისათვის, შეიძლება მასალის დამზადება და გაწყობილობის შეკვეთა საბოლოო პროექტების დამტკიცებამდე.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა  
მმართველის თანამდებ. ღრ. აღმასრულებელი ა. ბანოვიჩი.

1930 წ. მარტის 23  
ტფილისი-სასახლე.

დაგენერილება ამინისტრაციის ცენტრალური აღმასრულებელი გენერალური კომიტეტის და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს.

**116.** კალიასთან ბრძოლის საქმისათვის ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო რწმუნებულის დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/ქსფსრ ფარგლებში თავის დროზე და წარმატებით კალიასთან ბრძოლის განხორციელების უზრუნველსაყოფად დანიშნულ იქნეს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო რწმუნებული კალიასთან ბრძოლის საქმისათვის.

2. კალიასთან ბრძოლის საქმის საგანგებო რწმუნებულს დაეკისროს საერთო ხელმძღვანელობისა და მიეთვალყურეობის გაწევა კალიასთან ბრძოლის საქმისათვის და კონტროლი სსრკ.ის და ა/ქსფსრ-ის მთავრობის იმ დადგენილებათა განხორციელებისათვის, რაც ეხება კალიასთან ბრძოლის ლონისძიებათ.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად კალიასთან ბრძოლის საქმის საგანგებო რწმუნებულს უფლება აქვს:

ა) მოახდინოს მობილზაცა ცალკეული სპეციალისტებისა და პრაკტიკოსებისა, მუშა-ძალისა, სატრანსპორტო საშუალებისა, კალიასთან ბრძოლის საშუალებებისა და აპარატურისა მთლიად ა/ქსფსრ ტერიტორიის ფარგლებში;

ბ) მოსთხოვოს ა/ქსფსრ-ის ორგანოებს და აგრეთვე რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს ცველა განკარგულების დაუყო-

ნებელი შესრულება და ცნობების წარდგენა ყველა იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც დაკავშირებულია კალისათან ბრძოლისათვის წარმოებულ მუშაობასთან;

გ) განუჩინდა აღმინისტრატიული გადასახდელი, თვით დაპატიმრებამდეც-კი და მისცეს სამართალში ყველა ის თანამდებობის პირი, ვინც თავის ღროშე და მუჟაითად არ შესრულებს მის განკარგულებას, ან გამოიჩინს უთაურობას და ჩაიდგნას ისეთ მოქმედებას, რაც ცუდ გავლენას მოახდენს კალისათან წარმატებით ბრძოლაზე;

დ) მოსთხოვოს ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას—დაუყოვნებლად და უკილიმბლად გამოისწოროს ყოველი თავისი ნაკლი კალისათან ბრძოლის ღონისძიებათა სფეროში;

ე) გადასწყვეტოს დაუყოვნებელ შემთხვევაში ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით კალის საწინააღმდეგო ბრძოლასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რაც შემდგომ მოახსენოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. კალისათან ბრძოლის საქმისათვის ა/კსფსრ ფარგლებში ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო რწმუნებულად დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამბ. არამაის არტემის შე ერზინჯიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. კასიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. მაისის 20.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზირია კოსტოკა“-ს 133 №-ში 1930 წ. მაისის 22-ს.

## დადგენილება № 245 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**117.** 1930 წელს საბამბე კამპანიის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

1. რათა 1930 წელს საბამბე კამპანიის გეგმა მაქსიმალურად იქნეს შესრულებული, კერძოდ—უზრუნველყოფილ იქნეს ბამბის თავის ღროშე დათესვა და და მორწყა და აგრეთვე დაკონტრაქტებული საბამბე მიწების სათანდოდ დამუშავება,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემვალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ რესპუბლიკანურ და საოლქო წყალსამეურნეო ორგანოებს დაუყოვნებლივ შეადგინონ დაკონტრაქტებული საბამბე მიწების მეორედ მორწყვის ჩატარებას გეგმა. გეგმა შედგენილ უნდა იქნეს არა მარტო საოლქო და



სარაიონო ხაზით, ორამედ აგრეთვე—სოფლის ხაზითაც, თვითეული საირიგაციო სისტემის მიხედვით და ამ სისტემის აუცილებლად ღამითაც გამოყენებით;

ბ) დაავალონ საოლქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ როგორც სარწყავი წყლის ქსელისა, ისე წყლის სათანადო გამოყენების დაცვა, რისთვისაც წყლის ქვედა აღმინისტრაციას დასახმარებლად მუშჩინონ თვით წყალმოსარგებლენი წყლის სისწორით გამოყენების კონტროლისათვის;

გ) დაავალონ საოლქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გაუწიონ, სასოფლო და სარაიონო ოქსეის კომისიების მეშენობით, დანარჩები იმ მეურნეობებს, რომელთაც ესაჭიროებათ საწევი ძალა, როგორც საბამბე მინდვრების ხელახლი გადახენისათვის, ისე ზემდგომი დამუშავებისათვის; სამისოდ გამოყენებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც კოლექტური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამარქან-სატრაქტორო სა-დგურებისა, ისე ინტივიდუალური მეურნეობების ზედმეტი და თავისუფალი სა-წევი ძალა სოფლისაც შეგნით, განსაკუთრებული მტკიცე სასყიდლით, რასაც დააწესებდნ თესვის კომისიები;

დ) შიიონო სატანადო ღონისძიება, რათა როგორც კომპერაციისა, ისე სა-მარქან-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ტრაქტორი და სატრაქტორო კოლონნა გამოყენებულ იქნეს სამინდვრე სარწყავი ნაკვეთების (არათი) გადახენისათვის;

ე) დაავალონ საოლქო და სარაიონო თესვის კომისიებს, აგრეთვე სამებამ-ბეო კომპერაციას—დაწესონ სასტიკი კონტროლი, რათა გლეხებმა სავსებით შეასრულონ ბამბის დათესვის თაობაზე დაფიქტული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი; თანაც დაუყონებლივ შეუფარდონ იმ მთესველთ, რომელიც სა-კონტრაქტაცია ხელშეკრულებებს არ ასრულებენ, ამ საკონტრაქტიციო ხელ-შეკრულებებით გათვალისწინებული გადასახდელი;

ვ) დაავალონ სამებამ-ბეო კომპერაციის რესპუბლიკუნი ცენტრებსა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კიმისარიატებს—სასწრაფოდ შეიმუშაონ რა-იონობითი გეგმა იმ მუშა-ძალის რაოდნენობისა, რაც საჭირო იქნება ზაფხულის სარწყავი სამუშაოების პერიოდში და მთსავლის მოკრეფის დროს; აგრეთვე შეიმუშონ ღონისძიებაი ამ რაონობისათვის საჭირო მუშაძალის მოსამარგე-ბლად და თანაც გამოარყვიონ, რა სახსარი იქნება საჭირო ამ საქმის ორგანიზა-ციისათვის;

ზ) დაავალონ რესპუბლიკების სამებამბეო კომპერაციას და თესვის ცენტრალურ კომისიებს, ბამბის მოსავლიანობის გადიდების მიზნით, იმმარონ ყო-ველი ღონისძიება ბამბის მოვლის ტეხნიკის გასაუმჯობესებლად და აგრეთვე მოახდინონ თესვის გარშემო როგორც თვით გლეხობისა, ისე ყველა ადგილო-ბრივი ორგანიზაციის ყურადღებისა და ძალის მობილიზაცია; იმასთანავე, პა-სუხისმგებელობა თესვის წარმატებით ჩატარებისათვის დააკისრონ თესვის ცენტრალურ კომისიებს; დაავალონ სამებამ-ბეო კომპერაციას—მოაწყონ ზაფხულის თესვის მუშაობის შემდეგ კურსები აგრონომიული პერსონალის კვალიფიკაციის წარმატებისათვის.

2. წინადადება მიეცეს ა/კსეულ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკე-ბის სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) შეურყევლად განახორციელონ ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დაღვენილება—ბამბის რაიონებში მარცვლეული პროდუქტების კონტრაქტაციის აკრძალვის შესახებ (ა/ქსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 204,—მუხ. ბ);

ბ) იმავდროულად დაავალონ რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს—გამოიარევიონ და პასუხისმგებაში მიცენ ის ორგანიზაციები, რომელთაც არ შეასრულეს ეს დადგენილება და დასდეს საკონტრაქტაციო ხალშეკრულებანი ბამბის რაიონებში პურეულ პროდუქტებზე.

3. წყალსაქანი მეურნეობის გასაჯანსაღებლად წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიიღოს შემდეგი ლონისძიებანი:

ა) დაუყოვნებლივ გააძლიეროს წყალსაქანთა მომსახურეობა, იმ გამოყიდვის მექანიკოსთა მობილიზაციით და მუდმივ სამუშაოზე წარმართვით, რომელთაც იციან შიდაწვის ძრავები;

ბ) დაუყოვნებლივ მოაწყოს სამი ინერციისაგან ბრიგადა წყალსაქანთა მუშაობის მუდმივი ინსპექტორებისათვის და მათი რემონტის ისტრუქტორებისათვის;

გ) დაუყოვნებლივ მოაწყოს სამი დროებითი ბრიგადა კვალიფიციურ მუშაობან წყალსაქანთა რემონტისათვის;

(დ) დაავალოს „პამბუკირლიგს“—სასწრაფო წესით შეასრულოს აზერბაიჯანის სსრ-ის საბამბე რაიონების ცხენებით მომარავების გეგმა საამისოდ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზთ გადადებული სახსარის ანგარიშზე; თანაც შირეელ რიგში ცხენებით მომარავებულ უნდა იქნეს სალიან-მუდანის რაიონი, როგორც ისეთი რაიონი, სადაც ყველა მეურნეობაში ბამბის ნაკვეთებს დიდი ადგილი უჭირავს.

4. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეამოწმოს, რამდენად სწორედ არის შესრულებული სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მიერ საბამბე რაიონებისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების გეგმა; აგრეთვე მიიღოს სათანადო ლონისძიება, რათა ბამბის მოქსელნი საესკონის იქნენ ამ საქონლოთ მომარავებულნი და რათა საბამბე რაიონები უზრუნველყოფილ იქნენ იმ საქონლის კონტინგენტით, რაც გამოყოფილია ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. სექტემბრის 23-ს დამტკიცებული გეგმით.

5. წინადადება მიეცეს სსრ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას უზრუნველყოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა საჭირო კრედიტებით და ამ კრედიტების დაფარვის ვადები დააწესოს ბამბის მოქსელთა შორის საქონლის ფაქტურიდ განაწილების ვადების შესაბამისად.

6. წინადადება მიეცეს მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულს ა/ქსფსრ-ში:

ა) დაუყოვნებლივ ალძრას მებამბეობის მთავარი კომიტეტის წინაშე საკითხი მავნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო ყველა ხარჯის მის ანგარიშზე ჩირიცხვის თაობაზე;

ბ) უზრუნველყოს აგრონომიული პერსონალის კვალიფიკაციის წარმატებისათვის<sup>2</sup> დაარსებული კურსები სახსარიო იმ თანხებიდან, რაც მიეცა მებამბეობის მთავარ კომიტეტს კადრების მოსამაშიადებლად.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმასრ. ა. ბანოვიჩი.

1930 წ. მაისის 23.

ტუილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 136 №-ში 1930 წ. მაისის 25-ს.

### დადგენილება № 248 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**118.** ა/ქსფსრ სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის  
სასაციონო საქმის კომიტეტის დებულების გაუქმების შე-  
სახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

„ა/ქსფსრ გაფრობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“<sup>3</sup>  
გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და  
ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 18-ის დადგენილების  
შესაბამისად (ა/ქსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 44)—გაუქმებულ იქნეს  
ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მაისის 5-ის დადგენილებით დამ-  
ტკიცებული დებულება „ა/ქსფსრ გაფრობის სახალხო კომისარიატთან არსებული  
ამიერკავკასიის სასაციონო საქმის კომიტეტის შესახებ“ (ა/ქსფსრ კან. კრ.  
1927 წ. მე-9 №-ი, მუხ. 115; მე-14, №-ი მუხ. 170; მე-17 №-ი, მუხ. 201).

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ბომბინი.

1930 წ. მაისის 31.

ტუილისი—სასახლე.